უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მექანიზმების განვითარებისა და განხორციელების ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებების ავტორიზაციის განახლებული მექანიზმების დანერგვის ანალიზი

Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი
2019

კვლევითი პროექტის ავტორები:

ირმა გრძელიძე
ირინე დარჩია
თამარ სანიკიძე
ლიკა ღლონტი
ქეთი ცოტნიაშვილი

ავტორების შესახებ:

პროექტის ავტორები უშუალოდ მონაწილეობდნენ ახალი სტანდარტების შემუშავებასა და ავტორიზაციის განხორციელების პროცესში, როგორც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელები, ავტორიზაციის ექსპერტები და საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წამყვანი პერსონალი.

Co-funded by the
Erasmus+ Programme
of the European Union

წინამდებარე პროექტი დაფინანსებულია ევროკომისიის მიერ. პუბლიკაცია ასახავს მხოლოდ ავტორთა აზრს და კომისია არ არის პასუხისმგებელი მის შინაარსზე.

აღმასრულებელი შეჯამება

2015 წლის დეკემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ინიცირება გაუკეთა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმირების მხარდამჭერ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომლებიც საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 2016 წლის თებერვალში. საკანონმდებლო ცვლილების კვალდაკვალ, 2017 წელს, ამოქმედდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების გარე შეფასების მექანიზმები – ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები. ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმების პილოტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შესწორდა სტანდარტები და პროცედურები, რომლებიც საბოლოო სახით 2018 წელს დამტკიცდა. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015) შესაბამისობის დადგენის მიზნით, ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები პირველ ეტაპზე შეფასდა საერთაშორისო ექსპერტების მიერ, ევროკავშირის დაფინანსებით, ხოლო მოგვიანებით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გარე შეფასების ფარგლებში, შეფასება განახორციელა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულმა ასოციაციამ (ENQA). შეფასებებით დადგინდა ეროვნული სტანდარტების თავსებადობა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015), რაც, თავის მხრივ, გულისხმობს უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის მოთხოვნების დაკმაყოფილებასა და საქართველოს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. აღსანიშნავია, რომ სისტემური ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მთავრობის 533–ე დადგენილებით დამტკიცებული "საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017–2021"–ის მიხედვით.

მოცემული კვლევის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემის იმპლემენტაციის პროცესის შეფასება და იმის განსაზღვრა, თუ რა შედეგი მოგვცა ახალი სისტემის დანერგვამ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. კვლევაში მიმოხილულია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის დანერგვა და განვითარება 2004 წლიდან დღემდე, ხოლო დეტალურად აღწერილია 2015–2018 წლებში განხორციელებული სისტემური რეფორმა. იგი განიხილება 4 განზომილებაში:

რეფორმის პოლიტიკა და ხარისხის განვითარების მხარდამჭერი კანონმდებლობა;

დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და მზაობა;

დანერგვის პროცესი, რომელიც მოიცავს უსდ–ების მიერ განხორციელებული თვითშეფასების შედეგების შეფასებას, ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნების ანალიზს, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის დამოკიდებულების განსაზღვრას, ავტორიზაციის საბჭოს მიერ

გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეფასებასა და მიღებული გადაწყვეტილებების თანმიმდევრულობის დადგენას;

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის ძირითადი შედეგები და გამოწვევები.

კვლევაში წარმოდგენილია უსდ-ების მიერ ავტორიზაციისთვის მზადების პროცესში გატარებული ღონისძიებები, ავტორიზაციის - უსდ-ების შეფასების პროცესში მომხდარი ცვლილებები, ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესის ანალიზი და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემები. კვლევის ანგარიშში ასევე განხილულია დაინტერესებულ მხარეთა მოსაზრებები, თუ რამდენად გამართლდა სისტემის ცვლილების მიმართ არსებული მოლოდინები და მათი დამოკიდებულება ახალი სისტემის მდგრადობის მიმართ.

ერაზმუს პლუსის საქართველოს ოფისის ფინანსური მხარდაჭერით, კვლევა განახორციელა უმაღლესი განათლების რეფორმის ექსპერტთა ჯგუფმა. კვლევა მიმდინარეობდა 2018 წლის დეკემბრიდან 2019 წლის ივნისამდე. სამაგიდე კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საკანონმდებლო ბაზა, 20 უსდ–ს თვითშეფასების ანგარიში და 27 უსდ–ს ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა. ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუები განათლების პოლიტიკის განსაზღვრასა და განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან (განათლებისა და მეცნიერების მინისტრები, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორები), აგრეთვე უსდ–ების რექტორებთან. ფოკუს ჯგუფები ჩატარდა ავტორიზაციის ექსპერტებთან, უსდ–ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოსა და ავტორიზაციის საბჭოს წარმომადგენლებთან. სულ ჩატარდა 10 ჩაღრმავებული ინტერვიუ და ექვსი ფოკუს ჯგუფი. კვლევის ძირითადი მიგნებები და შესაბამისი რეკომენდაციები წარმოდგენილია ზემოთ აღნიშნული თითოეული განზომილების მიხედვით და მიემართება სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მხარდამჭერი პოლიტიკა და კანონმდებლობა

უსდ–ების რექტორები და კვლევის სხვა მონაწილეები თანხმდებიან, რომ ახალმა სისტემამ, ავტორიზაციის ახალმა სტანდარტებმა და პროცედურებმა გაამართლა მათი მოლოდინები იმ თვალსაზრისით, რომ სისტემა შესაბამისობაშია ბოლონიის პროცესის მოთხოვნებთან და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან (ESG 2015), არის ყოვლისმომცველი და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, რელევანტური. შესაბამისად, უსდ–ები არ გვთავაზობენ ცვლილებებს ავტორიზაციის პროცესის მარეგულირებელ დოკუმენტებში, თუმცა საუბრობენ ცვლილებების საჭიროებაზე სახელმწიფო შესყიდვების კანონში, უმაღლესი განათლების დაფინანსების სქემაში, ქონების მართვისა და დაბეგვრის მარეგულირებელ კანონებში, რაც მათ საშუალებას მისცემს, იყვნენ უფრო მოქნილები და უკეთ უპასუხონ ახალი სტანდარტების

მოთხოვნებს. კვლევაში ჩართული რესპოდენტების მიერ განხილული და შემოთავაზებული სხვა ცვლილებები შეეხება საავტორიზაციო პროცესის ხანგრძლივობის გაზრდას ექვსი თვიდან მინიმუმ ერთ წლამდე, ახალი უსდ–ების შეფასებისთვის განსხვავებული მიდგომის შემუშავებასა და აკადემიური პერსონალის აფილირების საკითხის უკეთ დარეგულირების მიზნით დამატებითი რეგულაციების საჭიროებას. უსდ–ების წარმომადგენლები, ავტორიზაციის ექსპერტები და ავტორიზაციის საბჭოს წევრები ასევე განიხილავენ საავტორიზაციო პროცესში ჩართული მხარეების მიერ სტანდარტებისა და პროცედურების სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობებს, თუმცა მათი პრევენციისთვის გვთავაზობენ არა ცვლილებებს სტანდარტებსა და პროცედურებში, არამედ ავტორიზაციის სახელმძღვანელოს დახვეწას და უსდ–ებისა და ექსპერტების შესაძლებლობების გაძლიერებას.

კვლევაში ჩართული ყველა მხარე თანხმდება, რომ პოლიტიკის განმსაზღვრელთა არათანმიმდევრული პოლიტიკური გადაწყვეტილებები და დამოკიდებულება აზიანებს რეფორმას. აღსანიშნავია, რომ რეფორმის მიმდინარეობისას სამჯერ შეიცვალა კურატორი სამინისტროსა და ხარისხის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები. ცვლილებების ფონზე აღინიშნებოდა რეფორმის მიმართ არათანმიმდევრული დამოკიდებულება. რესპოდენტები ყურადღებას ამახვილებენ 2018 წლის მოვლენებზე, როდესაც ახალი სისტემა ეროვნულ დონეზე უკვე დანერგილი იყო, ხოლო განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში გაწევრიანების პროცესი აქტიურ ფაზაში იყო შესული.

განათლებისა და მეცნიერების მაშინდელი მინისტრის მიერ გაკეთებული საჯარო განცხადებები სისტემის ცვლილების აუცილებლობაზე და საქართველოს პარლამენტის მცდელობა, რომ კანონის ძალით შეჩერებულიყო უსდ–ების ავტორიზაციის პროცესი, კვლევის რესპონდენტების მიერ შეფასდა როგორც არათანმიმდევრული და დამაზიანებელი. უსდ–ების წარმომადგენელი და კვლევაში ჩართული სხვა მხარეები მოითხოვენ რეფორმის პოლიტიკურ მხარდაჭერას, რათა მან მიაღწიოს დასახულ მიზნებს და ავტორიზაციის პროცესში უზრუნველყოს უსდ-ების მიმართ თანაბარი და სამართლიანი დამოკიდებულება.

დაინტერესებული მხარეების მოლოდინები და მათი მზაობა

უსდ–ების წარმომადგენლები რეფორმის ძირითად ამოცანებად ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველყოფასა და განვითარებაზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას მიიჩნევენ. ყველა დაინტერესებული მხარე ადასტურებს შეფასებაში საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობის მიზანშეწონილობას, რაც, მათი თქმით, აწესრიგებს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი შეფასების საკითხებს. მიუხედავად იმისა, რომ სისტემა გახდა მოქნილი, ხოლო შეფასება განვითარებაზე ორიენტირებული, ახალი სტანდარტების მაღალი მოთხოვნების გათვალისწინებით, ავტორიზაციისთვის მზადებამ მოითხოვა საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსი და დრო. მოლოდინი იყო იმისა, რომ შეფასებების შედეგად შემცირდებოდა მოქმედი უსდ–ებისა და

საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა. წარსულის გამოცდილებიდან გამომდინარე, როდესაც ავტორიზაციისთვის მზადება იყო მხოლოდ უსდ–ების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ფუნქცია, უსდ–ების ადმინისტრაციისთვის მოსამზადებელ სამუშაოებში საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა - ახალი სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად - სერიოზულ გამოწვევად იქცა. ზოგადად, უსდ–ები აღნიშნავენ, რომ ახალი წესებით საავტორიზაციო თვითშეფასების განხორციელება უნივერსიტეტებისთვის იყო ძალიან სასარგებლო. მათი თქმით, ეს იყო პროცესი, რომელიც წარიმართა ჩართულობის მაღალი ხარისხით – "ადამიანებმა დაიწყეს ერთად მუშაობა", რამაც, თავის მხრივ, გააუმჯობესა ინსტიტუციების შიდა ბიზნეს პროცესები, მოაწესრიგა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციათა გამიჯვნისა და ანგარიშვალდებულების საკითხები. უსდ–ები აღნიშნავენ, რომ თვითშეფასების ამ ფორმით განხორციელებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი "ხარისხის კულტურის" ჩამოყალიბებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოსამზადებელ ეტაპზე და თვითშეფასების პროცესში, უსდ–ებმა განახორციელეს შემდეგი ღონისძიებები: თვითშეფასების ჯგუფის ჩამოყალიბება, დოკუმენტაციის მოწესრიგება, შიდა რეგულაციების დახვეწა და მათ შესახებ საუნივერსიტეტო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციებისა და უფლება–მოვალეობების განსაზღვრა, საგანმანათლებლო პროგრამების შემცირება, ისეთი ახალი სერვისების დანერგვა, როგორიცაა სტუდენტების მომსახურება და კარიერული ხელშეწყობა, საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება და სხვ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა კი ამ პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები: სხვადასხვა სანიმუშო დოკუმენტების, ინსტრუქციებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება, ახლად შერჩეული ექსპერტების, უსდ–ების წარმომადგენლებისა და ავტორიზაციის საბჭოს წევრების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათი მომზადება–გადამზადება და სხვ.

უსდ–ებისთვის ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა სხვადასხვა ნიხრების, თანაფარდობებისა და სამიზნე ნიშნულების განსაზღვრისთვის საჭირო, წინა პერიოდების მონაცემთა შეგროვება და დამუშავება იყო. შესაბამისი გამოცდილების არქონა და მეთოდური ცოდნის ნაკლებობა გამოვლინდა სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების, სტუდენტთა განთესვისა და პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებლის, აგრეთვე არსებული და დაგეგმილი მიღწევების სამიზნე ნიშნულების განსაზღვრის პროცესში. ფინანსური რესურსის სიმწირისა და დროის ნაკლებობის გამო, განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული მოთხოვნების დაკმაყოფილება (შენობები, ლაბორატორიები, აღჭურვილობა და სხვ.). რაც შეეხება სამეცნიერო კვლევების შეფასებაში გამოვლენილ სირთულეებს, უსდ–ები ამის მიზეზად სახელმწიფო დონეზე სამეცნიერო კვლევების მართვისა და შეფასების სისტემის არარსებობას ასახელებენ.

განხორციელების პროცესი

შეფასების პროცესი გაანალიზდა სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებების გათვალისწინებით. გამოვლინდა როგორც დადებითი, ისე უარყოფითი დამოკიდებულება, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია ერთიანი, რეალისტური სურათის შესაქმნელად. ავტორიზაციის სტანდარტების იმპლემენტაციის პროცესში, ძირითადად, გამოიკვეთა შემდეგი სირთულეები: შეფასებისთვის გამოყოფილი არასაკმარისი დრო, მათ შორის უსდ–ებისათვის განსაზღვრული ხანმოკლე მოსამზადებელი პერიოდი, უსდ-ებისთვის ავტორიზაციის სახელმძღვანელოს დაგვიანებით მიწოდება, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი სამმართველოს არასაკმარისი ადამიანური რესურსი, დოკუმენტაციის თარგმანის არასათანადო ხარისხი, "პატარა ქვეყნის სინდრომი“, რაც ზოგადად აჩენს კითხვებს შეფასებისა და გადაწყვეტილებების ობიექტურობის თაობაზე, ავტორიზაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესი და განსაკუთრებით ავტორიზაციის სტანდარტებთან უსდ-ების შესაბამისობის დონის ცვლილება, აგრეთვე ისეთი ტექნიკური საკითხი, როგორიცაა ხარისხის მართვის ელექტრონული სისტემის ამოქმედების გადავადება.

ყველა დაინტერესებული მხარე თანხმდება, რომ შეფასებაში უცხოელი ექსპერტების ჩართულობამ და მათმა მაღალმა კვალიფიკაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა შეფასების პროცესისადმი ნდობა. რესპოდენტები იმასაც აღნიშნავენ, რომ საგრძნობლად გაიზარდა ქართველ ექსპერტთა კვალიფიკაცია, რაც უსდ–ებში ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტის დროსაც გამოვლინდა. მიუხედავად ამისა, უსდ–ები საუბრობენ იმ ერთეულ შემთხვევებზე, როდესაც ექსპერტთა დამოკიდებულება არ იყო სათანადო, რის გამოც შეფასების პროცესი დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა. ექსპერტთა მომზადების არათანაბარი დონე ასევე დასახელდა პროცესში გამოვლენილ ხარვეზად, რაც ადასტურებს ავტორიზაციის როგორც ქართველ, ისე უცხოელ ექსპერტთა პროფესიული განვითარების უკეთ დაგეგმვისა და განხორციელების საჭიროებას.

შეფასების პროცესის ახალი ფორმატი, რომელიც გულისხმობს უსდ–ების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების წინასწარ შესწავლას და შემდეგ საავტორიზაციო ვიზიტს დაწესებულებაში, უსდ–ების წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და ინტერვიუების ჩატარების მიზნით, შეფასდა როგორც კარგი პრაქტიკა. რესპოდენტების თქმით, ეს არის შეფასების პროცედურის კარგი კომბინაცია, რომელიც ინფორმაციის ტრიანგულაციისა და ექსპერტთა დასკვნის კვალიფიციურად შედგენის საშუალებას იძლევა. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დონეების გათვალისწინებით, შეფასების პროცესმა და შედეგებმა გამოავლინა ის სტანდარტები, რომელთა სრულად და მეტწილად დაკმაყოფილება უსდ–ებისთვის ყველაზე რთული აღმოჩნდა. ესენია: (2) ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; (4) პერსონალი; (6) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; (7) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

ავტორიზაციის სტანდარტებისს კომპონენტებიდან, ყველაზე რთულად დასაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: (2.1) ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; (3.2) საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი; (4.1) პერსონალის მართვა; (6.1) კვლევითი საქმიანობა; (6.2) კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია და (7) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების სტანდარტის ყველა კომპონენტი.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის რეფორმის ძირითადი შედეგები და გამოწვევები

კვლევის რესპოდენტები, განსაკუთრებით უსდ–ების წარმომადგენლები, აღნიშნავენ, რომ ახალი სისტემის მიმართ მათი მოლოდინები გამართლდა ავტორიზაციის პროცესის განხორციელების და არა მისი შედეგების ნაწილში. იმისათვის, რომ ქვეყანაში ამაღლდეს უმაღლესი განათლების ხარისხი, საჭიროა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანმიმდევრული იმპლემენტაცია, რისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ძლიერი და მუდმივი მხარდაჭერა, პოლიტიკური მხარდაჭერის ჩათვლით.

ვინაიდან „დაგეგმე–გააკეთე–შეამოწმე–იმოქმედე“ ციკლი (PDCA cycle) უსდ–ების უმეტეს ნაწილში დასრულებელი არ იყო, ავტორიზაციის პირველი ეტაპის ფარგლებში, ძირითადად, შეფასდა დაწესებულებების სტრატეგიები, გეგმები, რესურსები და მიმდინარე პროცესები, რამაც მოგვცა უსდ–ების საქმიანობისა და შედეგების/მიღწევების პირველადი სურათი. არსებითია, რომ თანმდევი ქმედებები და მონიტორინგის მექანიზმები ობიექტურად და თანმიმდევრულად განხორციელდეს.

ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვის შედეგები თვალსაჩინოა როგორც ინსტიტუციურ, ისე სისტემურ დონეზე. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ავტორიზაციის პროცესისთვის მზადებამ უსდ-ებს მრავალი ცვლილების განხორციელებისკენ უბიძგა. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ, უსდ–ების წარმომადგენლების თქმით, ახალმა სტანდარტებმა მოითხოვა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე.

ყველა უსდ-ში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება აღმოჩნდა სტუდენტური სერვისების განვითარება და სტუდენტების მხარდამჭერი, საკარიერო და საკონსულტაციო სტრუქტურული ერთეულების ამოქმედება ან უკვე არსებულების საქმიანობის გაუმჯობესება. სამეცნიერო კვლევებისთვის შიდა საბიუჯეტო სახსრების გაზრდა, სამეცნიერო კვლევების დაფინანსების შიდა მექანიზმების ამოქმედება, სამეცნიერო კვლევების მხარდამჭერი სტრუქტურული ერთეულების შექმნა და ამგვარად კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესება ხარისხის უზრუნველყოფის ახალი სისტემის დანერგვის ასევე პოზიტიური შედეგია.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის პროცესში უსდ–ების მიერ განხორციელებული ცვლილებების ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები და თვალსაჩინო შედეგი

საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის შემცირებაა. 27 უსდ–მ, რომელმაც ავტორიზაცია გაიარა 2018 წელს, ავტორიზაციის პროცესის დაწყებამდე მიიღო გადაწყვეტილება 253 საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ. ავტორიზაციის ახალი მექანიზმების ამოქმედების შემდეგ, ასევე შემცირდა საქართველში მოქმედი უსდ–ბის რაოდენობა. საუნივერსიტეტო სივრცეს 12 უსდ გამოაკლდა.

სისტემის დონეზე განხორციელებული ცვლილებები დაეფუძნა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG 2015). სისტემური ცვლილებებით საქართველოს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა შესაბამისობაში მოვიდა ევროპულ მოთხოვნებთან. განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მოიპოვა სამედიცინო განათლების მსოფლიო ფედერაციის (WFME) აღიარება, გაწევრიანდა უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში (ENQA) და ამავდროულად დარეგისტრირდა უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების დამოუკიდებელი სააგენტოების ევროპულ რეესტრში (EQAR). ამგვარად, ქვეყანამ შეასრულა როგორც უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის, ისე საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნები.

კვლევის ძირითადი რეკომენდაციები

<u>რეკომენდაციები უსდ-ების თვითშეფასების პროცესის განსავითარებლად და გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით</u>

1. მეთოდოლოგიური მხარდაჭერა/ტრენინგის შეთავაზება უსდ-ებისთვის ისეთი შედეგობრივი/ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულების შემუშავებისა და ანალიზისთვის, როგორიცაა კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და სტუდენტთა განთესვის მაჩვენებელი, პერსონალსა და ბიუჯეტთან დაკავშირებული თანაფარდობები და სხვ. არსებითია, რომ უსდ-ებმა რეგულარულად შეაგროვონ მონაცემები (მაგალითად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის, ინსტიტუციური მიღწევების/შედეგების ინდიკატორები და სხვ.) და მიღებული შედეგები გამოიყენონ შესაბამისი რეაგირებისთვის;

2. თვითშეფასების პროცესის თავდაპირველი გამოცდილების გათვალისწინებით, დამატებითი მხარდამჭერი ღონისძიებების შეთავაზება უსდ-ებისათვის, რათა თვითშეფასების ანგარიშები დაეფუძნოს შესაბამის მტკიცებულებებს (მაგალითად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს), იყოს ანალიტიკური, რეალისტური, თვითკრიტიკული, რეალობის ამსახველი და გვთავაზობდეს სათანადო სტრატეგიებსა და აქტივობებს შემდგომი განვითარებისთვის;

3. ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებული ძირითადი რეკომენდაციები შეიძლება შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

- სტრატეგიული აქტივობების პრიორიტიზება და შესაბამისი ადამიანური და ფინანსური რესურსის გამოყოფა;

- ადმინისტრაციული შესაძლებლობების/რესურსის ოპტიმიზაცია და გაუმჯობესება;

- შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში;

- შესაბამისი მხარდამჭერი ღონისძიებები სწავლებასა და კვლევაში აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით, პლაგიატის დამდგენი კომპიუტერული პროგრამის დანერგვა და გამოყენება;

- სწავლის შედეგების უკეთ გააზრება და მათი განახლება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, სწავლის შედეგების დაკავშირება შესაბამის სასწავლო მასალებთან, სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი მიღწევა;

- ადამიანური რესურსების მართვისა და შეფასების სისტემის სრულად ამოქმედება, პერსონალის შეფასების შედეგების მონიტორინგი და მათი გათვალისწინება, შესაბამისი შესაძლებლობების შეთავაზება პროფესიული განვითარებისთვის;

- უსდ-ებმა უნდა უზრუნველყონ, რომ აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვა და საქმიანობა შეესაბამებოდეს აკადემიური პროცესის საჭიროებებსა და მოლოდინებს, ითვალისწინებდეს აფილირებული აკადემიური პერსონალის წახალისების მექანიზმებს;

- სტუდენტური სერვისების განვითარება და დივერსიფიცირება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა სასწავლო გამოცდილების გაუმჯობესებასა და მათ პიროვნულ ზრდას;

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმების შექმნა, განსაკუთრებული მხარდაჭერა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს მათი კვლევითი უნარების განვითარების კუთხით, საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა;

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის მიმზიდველი სასწავლო გარემოსა და პირობების შექმნა;

- საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების განვითარება; პერსონალისა და სტუდენტების უზრუნველყოფა შესაბამისი ინსტრუქციებით ელექტრონული საბიბლიოთეკო-სამეცნიერო ბაზების გამოყენების შესახებ;

- დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირება, ბიუჯეტის დაგეგმვისა და ფინანსური მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდა;

4. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში უსდ-ებს რეგულაციები, პოლიტიკის დოკუმენტები და მთელი რიგი მექანიზმები სულ ახლახან ჰქონდათ შექმნილი, რის გამოც შეფასებისას არათუ საქმიანობის შედეგების, არამედ თვით პროცესის შეფასებაც კი შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე, არსებითია, რომ უსდ-ებმა სრულად განახორციელონ დოკუმენტებში აღწერილი პოლიტიკა და აქტივობები, რასაც უნდა მოჰყვეს შიდა და გარე შეფასება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება უსდ-ების პროგრესი და საქმიანობის შედეგები;

<u>რეკომენდაციები ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვისა და ორგანიზებისთვის</u>

5. ავტორიზაციის პროცესის ვადები უნდა გადაიხედოს და გაიზარდოს. ეს განსაკუთრებით ეხება საავტორიზაციო დოკუმენტების შესწავლისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის მომზადებისთვის გამოყოფილ დროს;

6. საავტორიზაციო დოკუმენტაციის თარგმნის ხარისხი უნდა გაუმჯობესდეს. ამისათვის თარგმნის კომპიუტერულ პროგრამაში (SDL TradosStudio) უნდა შენარჩუნდეს უკვე არსებული ხარისხიანი მასალა, რომელიც გამოყენებულ იქნება თარგმნის პროცესში. უნდა მოხდეს მთარგმნელთა მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის ტერმინოლოგიის თარგმნის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისთვის; უნდა მოხდეს საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, რომელთა თანახმად, უსდ-ებს თავად დაევალებათ წარმოსადგენი დოკუმენტაციის თარგმნა;

7. უნდა გადაიხედოს თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოსადგენი საავტორიზაციო განაცხადზე თან დასართავი დოკუმენტების სია და მოხდეს მათი დიფერენცირება სამ კატეგორიად: დოკუმენტები, რომლებიც არ არის საჭირო ავტორიზაციის მიზნებისთვის; დოკუმენტები, რომლებიც უნდა ჰქონდეს უსდ-ს, თუმცა მათი წარდგენა საავტორიზაციო განაცხადთან ერთად საჭირო არ არის და დოკუმენტები, რომლებიც აუცილებლად თან უნდა ახლდეს საავტორიზაციო განაცხადს. ამასთანავე, წარმოსადგენი დოკუმენტების სიის განახლებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას საავტორიზაციო ვიზიტის პროცესში, უსდ-ს მიერ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანისა და ახალი დოკუმენტების შექმნის რისკი. კვლევითმა ჯგუფმა გაანალიზა დოკუმენტების ნაწილი და შესაძლებლად მიიჩნია, რომ, მაგალითად, უსდ-მ არ უნდა წარმოადგინოს შენობის უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტები, პერსონალის ბიოგრაფიები (სტანდარტი 7.3-ის თანახმად, უსდ-ს ვებგვერდზე განთავსებული უნდა ჰქონდეს აკადემიური პერსონალის პროფილი და საავტორიზაციო ვიზიტის მიმდინარეობისას ვერ მოხდება ვებგვერდზე ბიოგრაფიების ატვირთვა ან მათში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა);

8. უნდა შემუშავდეს ახლადდაარსებული უსდ-ების შეფასების პროცედურები და სახელმძღვანელო პრინციპები;

9. უნდა მოხდეს ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობის დივერსიფიცირება, რათა თავიდან იქნას აცილებული ერთი უსდ-ს წარმომადგენლების თავმოყრა ერთ ჯგუფში;

10. საავტორიზაციო ვიზიტი უნდა გახანგრძლივდეს და მას უნდა დაემატოს ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო დღე ვიზიტის შემდეგ, რაც ექსპერტებს მისცემს საშუალებას, იმსჯელონ და დააზუსტონ ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები, ერთობლივად მიიღონ გადაწყვეტილებები ავტორიზაციის სტანდარტებსა და მის კომპონენტებთან უსდ-ს შესაბამისობის დონის შესახებ;

<u>რეკომენდაციები ექსპერტთა საქმიანობასთან დაკავშირებით</u>

11. ავტორიზაციის ექსპერტებს მუდმივად უნდა უტარდებოდეს ტრენინგები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა შეფასების თანამიმდევრულობას, განხილული იქნება წინა შეფასებები და ექსპერტთა ქცევა საავტორიზაციო ვიზიტის დროს;

12. ექსპერტთა ტრენინგის ფარგლებში უნდა მოხდეს ავტორიზაციის პროცესის სიმულაცია და აგრეთვე განხორციელდეს სასწავლო ვიზიტები ENQA-ს წევრ სხვა სააგენტოებში;

13. საჭიროა ტრენინგების (მათ შორის ონლაინ რეჟიმში) ორგანიზება საერთაშორისო ექსპერტებისთვის, რომლებმაც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ფუნქცია უნდა შეასრულონ. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული რეგულაციები, უმაღლესი განათლების ადგილობრივი კონტექსტი და კულტურული თავისებურებები, რათა მომავალში უზრუნველყოფილ იქნას უცხოელი ექსპერტის უფრო მკაფიო და გასაგები, ზეპირსიტყვიერი და წერილობითი კომუნიკაცია უსდ-ებსა და ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან;

14. ავტორიზაციის ექსპერტების რეალური დატვირთვის გათვალისწინებით, უნდა გადაიხედოს და გაიზარდოს ქართველ ექსპერტთა ანაზღაურების განაკვეთი;

15. ავტორიზაციის ექსპერტები ინფორმირებული უნდა იყვნენ უსდ-ების, ხარისხის ცენტრისა და კოლეგების მიერ მათი საქმიანობის შეფასების შედეგების შესახებ, რაც, თავის მხრივ, გათვალისწინებულ უნდა იქნას ექსპერტების ატესტაციის პროცესში;

16. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას ავტორიზაციის პროცესის, სტანდარტებისა და მათთან შესაბამისობის ერთიანი გაგება, უნდა მოხდეს ერთობლივი ტრენინგებისა და ვორკშოპების ორგანიზება ავტორიზაციის ექსპერტებისა და ავტორიზაციის საბჭოს წევრებისთვის;

<u>რეკომენდაციები შეფასების პროცედურასთან დაკავშირებით</u>

17. ავტორიზაციის ექსპერტებს უნდა გაეწიოს დამატებითი კონსულტაციები, რათა შეფასების პროცესში უზრუნველყოფილ იქნას უსდ-ს სამიზნე ნიშნულებისა და ძირითადი მონაცემების, სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და პერსონალის აფილირების საკითხების გულმოდგინედ განხილვა და გაანალიზება;

18. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი სისტემატურად უნდა ახდენდეს აკადემიური პერსონალის აფილირების შესახებ მონაცემების შეგროვებას, განახლებასა და მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი ვალიდურობა და სისრულე; ავტორიზაციის ექსპერტებს უნდა მიეცეთ უფრო მკაფიო მითითებები, თუ როგორ გაანალიზონ მონაცემთა ბაზა და შეაფასონ აკადემიური პერსონალის დატვირთვა;

19. უნდა შემუშავდეს სპეციალური რეგულაცია - სავარაუდოდ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება - რომელშიც უფრო დეტალურად იქნება განსაზღვრული აფილირებული აკადემიური პერსონალის მიმართ არსებული მოთხოვნები. კიდევ უფრო ეფექტიანი იქნებოდა

რაოდენობრივი ინდიკატორებისა და სწავლის სხვადასხვა სფეროს თავისებურებების გათვალისწინება;

20. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა უნდა იმსჯელოს ავტორიზაციის პროცედურაში კიდევ ერთი, შეფასების წინა ეტაპის დამატებაზე, რომელიც დაეთმობა უსდ-ს დოკუმენტების ცალკეული ტექნიკური საკითხების წინასწარ შეფასებას, როგორიცაა, მაგალითად: საგანმანათლებლო პროგრამებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამისობა სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან, შენობების უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების დაცვის დადასტურება, აკადემიური პერსონალის აფილირების მონაცემები და სხვა.

21. ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნულმა რეგულაციებმა (მაგალითად, კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებები) უნდა ასახოს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპს: „მიზანთან შესაბამისობა“ (fitness to the purpose);

22. უნდა გადაიხედოს ავტორიზაციის საბჭოს წევრების არჩევის წესი, რათა უზრუნველყოფილ იქნას პროცესში დაინტერესებული მხარეების სამართლიანი ჩართულობა;

<u>რეკომენდაციები ავტორიზაციის მექანიზმების იმპლემენტაციის შედეგებთან დაკავშირებით</u>

23. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ უსდ-ების საქმიანობის განვითარებას, განათლების ხარისხსა და უსდ-ების შედეგების შეფასებას, არსებითია, რომ ავტორიზაციის მექანიზმის თანმხლები პროცედურები - როგორიცაა, მაგალითად, შუალედური შეფასება - განხორციელდეს თანამიმდევრულად;

24. იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ ხარისხის თანამიმდევრულ და ობიექტურ შეფასებას, უზრუნველყოფილ უნდა იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მთავრობისგან დამოუკიდებლობა;

<u>რეკომენდაციები ავტორიზაციის მექანიზმის განხორციელების მდგრადობისა და განათლების ხარისხის შემდგომი განვითარებისთვის</u>

25. უსდ-ებს ესაჭიროებათ მეტი მხარდაჭერა ინსტიტუციური, ორგანიზაციული და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების გაძლიერებისათვის;

26. უნდა მოხდეს უმაღლესი განათლების საკანონდებლო ჩარჩოს მოდერნიზება, კერძოდ, უნდა დარეგულირდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა შედეგზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელი, შესყიდვის პროცედურების გამარტივება, აკადემიური პერსონალის დატვირთვა და საქმიანობა და სხვ.;

27. სისტემა და პოლიტიკა უნდა იყოს გარანტი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მდგრადი, თანამიმდევრული და დამოუკიდებელი ფუნქციონირებისათვის;

28. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის პრინციპებისა და მნიშვნელობის მიმართ ერთიანი მიდგომის ჩამოსაყალიბებლად, უნდა მოხდეს ყველა დაინტერესებული მხარის შესაძლებლობების შემდგომი გაძლიერება და მათი ჩართვა სისტემის განვითარების პროცესში.